

წინამდებარე დოკუმენტს გააჩნია მხოლოდ დოკუმენტური დანიშნულება და შესაბამისი უწყებები არ კისრულობენ რაიმე პასუხისმგებლობას მის შინაარსთან დაკავშირებით

► **B** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის
(EC) №1071/2009 რეგლამენტი

საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ პირობებთან დაკავშირებული საერთო წესების განსაზღვრისა და საბჭოს 96/26/EC დირექტივის გაუქმების შესახებ

(აღნიშნული ტექსტი ძალაშია ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში)

(ოფიციალური ჟურნალი L 300, 14.11.2009 წ., გვ.51)

ცვლილება შეტანილია:

ოფიციალური ჟურნალი

	N	გვერდი	თარიღი
► M1 კომისიის 2012 წლის 9 ივლისის (EU) №613/2012 რეგლამენტი	L 178	6	10.7.2012



ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის
(EC) №1071/2009 რეგლამენტი

საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ პირობებთან დაკავშირებული საერთო წესების განსაზღვრისა და საბჭოს 96/26/EC დირექტივის გაუქმების შესახებ

(აღნიშნული ტექსტი ძალაშია ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში)

ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო,

ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ შეთანხმების, კერძოდ მისი 71(1) მუხლის საფუძველზე,

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე,

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრების საფუძველზე¹,

ხელმძღვანელობენ რა ევროპის მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ წარმოდგენილი დასკვნით²,

რეგიონების კომიტეტებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ,

მოქმედებენ რა ხელშეკრულების 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად³,

ვინაიდან:

- (1) სამართლიანი კონკურენციის პირობებით საავტომობილო გადაზიდვების შიდა ბაზრის მოწყობის პროცესის სისრულეში მოსაყვანად აუცილებელია ტვირტის გადაზიდვა ოპერატორებისა და მგზავრთა გადამყვანი ოპერატორების (შემდგომში - საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორი) ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებული ზოგადი წესების ერთგვაროვანი გამოყენება. აღნიშნული ზოგადი წესები ხელს შეუწყობს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორების პროფესიონალური კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, ბაზრის რაციონალიზაციას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და, საერთო ჯამში, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დონის ამაღლებას, რაც გამომდინარეობს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორების, მათი კლიენტებისა და, ზოგადად, ეკონომიკის ინტერესებიდან. აღნიშნული წესები აგრეთვე ხელს შეუწყობს საავტომობილო

¹ ოფიციალური ჟურნალი C 151, 17.6.2008, გვ. 16.

² ოფიციალური ჟურნალი C 14, 19.1.2008, გვ. 1.

³ ევროპარლამენტის 2008 წლის 21 მაისის დასკვნა (რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში), საბჭოს 2009 წლის 9 იანვრის საერთო პოზიზია (ოფიციალური ჟურნალი C 62 E, 17.3.2009, გვ. 1), ევროპარლამენტის 2009 წლის 23 აპრილის პოზიზია (რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს 2009 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება.

გადაზიდვების ოპერატორების მიერ საქმიანობის დაწყების უფლების ეფექტურ გამოყენებას.

- (2) საბჭოს 1996 წლის 29 აპრილის 96/26/EC დირექტივა ტვირთის გადამზიდავი ოპერატორებისა და მგზავრთა გადამყვანი ოპერატორების ბაზარზე დაშვებისა და მათი დიპლომების, სერტიფიკატებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ორმხრივი აღიარების შესახებ, რაც გამიზნულია აღნიშნული ოპერატორების შიდა და საერთაშორისო გადაზიდვების თავისუფლად განხორციელების უფლების რეალიზაციის ხელშეწყობისთვის¹, განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის ბაზარზე დაშვებასა და ამგვარი საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტაციის ორმხრივ აღიარებასთან დაკავშირებით. თუმცა პრაქტიკულმა გამოცდილებამ, დირექტივის შედეგების შეფასებამ და სხვა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული დირექტივა არასათანადოდ ხორციელდება წევრი სახელმწიფოების მიერ, რასაც თან ახლავს გარკვეული უარყოფითი შედეგები, კერძოდ, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და საბაზრო გამჭვირვალებისა და ერთიანი კონტროლის არარსებობა, ასევე მოცემული სექტორის რეპუტაციის შელახვის რისკი, რაც იმ ფაქტით არის გამოწვეული, რომ საწარმოები, რომლებიც დაბალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებს ქირაობენ, უგულბელყოფენ ან განუხრელად არ იცავენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და სოციალური უზრუნველყოფის წესებს.
- (3) აღნიშნული შედეგები ასევე იმ კუთხითაა დიდი საფრთხის შემცველი, რომ საავტომობილო გადაზიდვების შიდა ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას უშლის ხელს, რადგან საერთაშორისო და კაბოტაჟური გადაზიდვების ბაზარი ღიაა ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოებისთვის. ერთადერთ სავალდებულო მოთხოვნას ამგვარი საწარმოებისთვის საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ოპერატორისა და საერთაშორისო გადაზიდვების ბაზარზე წვდომის საერთო წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) N 1072/2009 რეგლამენტითა ² და საავტობუსო სატრანსპორტო ბაზარზე წვდომის შესახებ ³ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) N 1073/2009 რეგლამენტით გათვალისწინებული საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის დაშვებისთვის აუცილებელი პირობების დაცვის დამადასტურებელი ევროპული გაერთიანების ლიცენზიის ქონა წარმოადგენს.
- (4) აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებით არსებული წესების განახლება, აღნიშნული წესების უფრო ერთგვაროვანი და ეფექტური გამოყენების მიზნით. ვინაიდან აღნიშნული წესების დაცვა ევროპული გაერთიანების ბაზარზე დაშვების ძირითად პირობას წარმოადგენს, რომელ სფეროსაც არეგულირებს რეგლამენტები,

¹ ოფიციალური ჟურნალი L 124, 23.5.1996, გვ. 1.

² იხილეთ აღნიშნული ოფიციალური ჟურნალის გვერდი 72.

³ იხილეთ აღნიშნული ოფიციალური ჟურნალის გვერდი 88.

ყველაზე მიზანშეწონილი იქნება საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის ბაზარზე დაშვების მარეგულირებელი რეგლამენტის მიღება.

- (5) წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ შეთანხმების 299-ე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ შორეულ რეგიონებში საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობების ადაპტირების საშუალება, აღნიშნული რეგიონებისთვის დამახასიათებელი ნიშნებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით. თუმცა, მითითებულ რეგიონებში დაფუძნებულ საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორებს, რომლებიც საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობას ეწევიან მხოლოდ ამგვარი ადაპტირებული პირობების შედეგად, არ შეუძლიათ ევროპული გაერთიანების ლიცენზიის მიღება. საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო პირობების ადაპტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი ამგვარი საქმიანობის განხორციელებაში იმ საწარმოებს, რომელთა შორეულ რეგიონებში საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობა დაშვებული იქნებოდა წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული ზოგადი პირობების დაცვის შემთხვევაში.
- (6) კეთილსინდისიერი კონკურენციის ინტერესებიდან გამომდინარე, საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის მარეგულირებელი ზოგადი წესები შეძლებისდაგვარად ფართოდ უნდა გავრცელდეს ყველა საწარმოზე. მიუხედავად ამისა, არ არის აუცილებელი აღნიშნული რეგლამენტის ფარგლებში იმ საწარმოების ჩართვა, რომლებიც სატრანსპორტო ბაზრისთვის უმნიშვნელო რაოდენობის ოპერაციებს ახორციელებენ.
- (7) საწარმოების წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის შემოწმების პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს წევრ სახელმწიფოებს, რათა წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს საჭიროების შემთხვევაში ჰქონდეთ სატრანსპორტო ბაზარზე საქმიანობის განსახორციელებლად გაცემული ნებართვების შეჩერების ან გაუქმების უფლება. საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის ბაზარზე დაშვების მარეგულირებელ პირობებთან შესაბამისობა და მათი საიმედო მონიტორინგი იძლევა იმ ფაქტის ვარაუდის საშუალებას, რომ ამგვარი საწარმოები ეფექტურად და სტაბილურად ფუნქციონირებენ.
- (8) აუცილებელია სათანადო რეპუტაციის მქონე და კომპეტენტური ფიზიკური პირების იდენტიფიკაცია და აღნიშნულ უფლებამოსილ ორგანოებში დანიშვნა. ასეთი პირები (სატრანსპორტო მენეჯერები) უნდა წარმოადგენდნენ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს და ეფექტურად და უწყვეტად უნდა მართავდნენ საავტომობილო გადაზიდვების სფეროში მომუშავე საწარმოების საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია იმ პირობების განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც დადგინდება საავტომობილო გადაზიდვების სფეროში მომუშავე საწარმოების საქმიანობის ეფექტური და უწყვეტი მართვის შესაძლებლობა.

- (9) სატრანსპორტო მენეჯერების კარგი რეპუტაცია დამოკიდებულია შემდეგ პირობებზე: აღნიშნული პირები არ უნდა უყვნენ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ნასამართლეს ან დაჯარიმებული, პასუხისმგებლობაში მიცემული სერიოზული სამართალდარღვევისთვის, კერძოდ, ევროპული გაერთიანების წესების დარღვევა საავტომობილო გადაზიდვების სფეროში. სატრანსპორტო მენეჯერის ან საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის პასუხისმგებლობაში მიცემა ან სანქციების დაწესება ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოში ევროპული გაერთიანების მიერ დადგენილი წესების სერიოზული დარღვევისთვის იწვევს საქმიანი რეპუტაციის შელახვას იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ფაქტები განისაზღვრება და დოკუმენტური სახით იქნება წარმოდგენილი სათანადო კომპეტენტური ორგანოს მიერ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაცული იქნება ყველა შესაძლების პროცედურული ნორმ, ასევე გასაჩივრების უფლება.
- (10) საავტომობილო გადაზიდვების განმახორციელებელი საწარმოების საქმიანობის დაწყებისა და მათი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მინიმალური ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილება. ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურების მარტივ და ეკონომიურ საშუალებას საბანკო გარანტია ან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს.
- (11) პროფესიული კვალიფიკაციის მაღალმა დონემ უნდა უზრუნველყოს სოციოეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა საავტომობილო გადაზიდვების სფეროში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ პრეტენდენტებს სატრანსპორტო მენეჯერის პოზიციაზე ჰქონდეთ პროფესიული მომზადების მაღალი დონე. მომზადების მაღალი ხარისხისა და ერთიანი გამოცდების უზრუნველყოფის მიზნით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ სასწავლო და საგამოცდო ცენტრებისთვის აუცილებელი კრიტერიუმები. სატრანსპორტო მენეჯერებს უნდა ჰქონდეთ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო გადაზიდვების მართვისთვის აუცილებელი ცოდნა. პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის მისაღებად საჭირო საგნების ჩამონათვალი და გამოცდების ორგანიზების პროცედურები დამოკიდებულია ტექნიკურ პროგრესზე, ამიტომ აუცილებელია მათი განახლების შესაძლებლობის გათვალისწინება. წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ გამოცდებისგან იმ პირების გათავისუფლების უფლება, რომლებსაც შეუძლიათ სატრანსპორტო სფეროში უწყვეტი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა.
- (12) სამართლიანი კონკურენციისა და წესებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი საავტომობილო გადაზიდვების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა წევრი სახელმწიფოების მხრიდან ერთიანი კონტროლის განხორციელება. აღნიშნული კუთხით გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ საწარმოებისა და მათი საქმიანობის კანონიერების კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათთვის საჭიროების შემთხვევაში სათანადო ზომების მიღების უფლებამოსილების მინიჭება, კერძოდ, იმ სატრანსპორტო მენეჯერების უფლებამოსილების შეჩერება ან გაუქმება, რომლებიც გულგრილად ასრულებენ

ვალდებულებას ან არაკეთილსინდისიებად მოქმედებენ. პასუხისმგებლობის ზომები უნდა დაწესდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ამასთან, საწარმოს წინასწარ უნდა ეცნობოს და სანქციების დაწესებამდე უნდა მიეცეს გონივრული ვადა არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად.

- (13) ადმინისტრაციული თანამშრომლობის უკეთ ორგანიზება წევრ სახელმწიფოებს შორის უზრუნველყოფს რამდენიმე წევრ სახელმწიფოში მოქმედი საწარმოების მონიტორინგის ეფექტიანობის გაზრდისა და მომავალში ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შესაძლებლობას. ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე ევროპული გაერთიანების მიერ დადგენილ პერსონალური მონაცემების დაცვის წესებთან შესაბამისობაში მყოფი ურთიერთდაკავშირებული საწარმოების ელექტრონული რეესტრები ხელს შეუწყობს ამგვარ თანამშრომლობას და როგორც საწარმოების, ასევე უფლებამოსილი ორგანოების შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში უკვე არსებობს სახელმწიფო რეესტრები. წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთკავშირის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ელექტრონული რეესტრების უფრო სისტემატური გამოყენება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შემოწმებების ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაში და მათი ეფექტიანობის გაზრდაში.
- (14) სახელმწიფო ელექტრონული რეესტრები შესაძლებელია შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს დარღვევებისა და სანქციების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას პირების დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივით¹ გათვალისწინებულ შესაბამის ზომებს, კერძოდ, სახელმწიფო ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების მონიტორინგთან, პირების მიერ ინფორმაციის მიღების უფლებასთან, მათი ინფორმაციაზე წვდომისა და შედავების უფლებასთან დაკავშირებით. წინამდებარე რეგლამენტის მიზნებისთვის, მიზანშეწონილია ასეთი ინფორმაციის მინიმუმ 2 წლის განმავლობაში შენახვა, რათა დისკვალიფიცირებულ საწარმოებს არ ჰქონდეთ სხვა წევრ სახელმწიფოებში საქმიანობის წარმოების შესაძლებლობა.
- (15) გამჭვირვალების გაზრდისა და სატრანსპორტო დაწესებულებების კლიენტებისთვის აღნიშნული დაწესებულებების შესაბამისი უფლებამოსილების შემოწმების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრებში დაცული გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროება, პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამისი დებულებების გათვალისწინების პირობით.
- (16) მნიშვნელოვანია სახელმწიფო ელექტრონული რეესტრების ეტაპობრივი ურთიერთდაკავშირება, რაც წევრ სახელმწიფოებს შორის მონაცემების სწრაფი და ეფექტური გაცვლის საშუალებას უზრუნველყოფს და იძლევა გარანტიას, რომ საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორები არ ჩაიდენენ სერიოზულ სამართალდარღვევას არა მარტო იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც ისინი არიან

¹ ოფიციალური ჟურნალი L 281, 23.11.1995, გვ. 31.

დაფუძნებული, არამედ აგრეთვე სხვა წევრ სახელმწიფოებშიც. ამგვარი ურთიერთდაკავშირება გულისხმობს მონაცემთა გაცვლის ზუსტი ფორმატისა და მონაცემთა გაცვლის ტექნიკური პროცედურების განსაზღვრას.

- (17) წევრ სახელმწიფოებს შორის მონაცემთა ეფექტური გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა განისაზღვროს სახელმწიფო საკონტაქტო პუნქტები და გარკვეული საერთო პროცედურები, რომლებიც მინიმუმ გაითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდების ვადებსა და მისაწოდებელი მონაცემების ხასიათს.
- (18) საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორების დაფუძნების თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, იმ წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტები, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს სატრანსპორტო მენეჯერი, მიიჩნევა საქმიანი რეპუტაციისა და საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის ბაზარზე დაშვების საკმარის დამადასტურებელ საბუთად იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც საწარმო არის დაფუძნებული იმ პირობით, თუ აღნიშნულ პირებს არ ექნებათ აკრძალული სხვა წევრ სახელმწიფოებში საქმიანობის განხორციელება.
- (19) საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორების დაფუძნების თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად გაცემული ერთიანი მოდელის სერტიფიკატი მიიჩნევა პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელ სათანადო საბუთად იმ წევრი სახელმწიფოს მიერ, სადაც აღნიშნული საწარმო არის დაფუძნებული.
- (20) აუცილებელია ევროპული გაერთიანების დონეზე წინამდებარე რეგლამენტის გულდასმით მონიტორინგი, რაც გულისხმობს კომისიისთვის სახელმწიფო რეესტრებში საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორების სათანადო რეპუტაციასთან, ფინანსურ მდგომარეობასა და პროფესიულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დაცული ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი რეგულარული ანგარიშების წარდგენას.
- (21) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ სანქციების დაწესება წინამდებარე რეგლამენტის დებულებების დარღვევისთვის. ასეთი სანქციები უნდა იყოს ეფექტური, თანაზომიერი და ჰქონდეს აღმკვეთი ხასიათი.
- (22) ვინაიდან წინამდებარე რეგლამენტის მიზანს წარმოადგენს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის ბაზარზე დაშვების მარეგულირებელი წესების განახლება იმ მიზნით, რომ მოხდეს წევრ სახელმწიფოებში აღნიშნული წესების უფრო ეფექტური და ერთიანი განხორციელება, თუმცა ამას სათანადოდ წევრი სახელმწიფოები ერთპიროვნულად ვერ განახორციელებენ. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ქმედების მასშტაბისა და შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული უფრო ეფექტურად მიიღწევა ევროპული გაერთიანების დონეზე, რა მიზნითაც ევროპულ გაერთიანებას შეუძლია მიმართოს გარკვეულ ზომებს ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, წინამდებარე რეგლამენტი არ სცდება აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის საჭირო ფარგლებს.

- (23) წინამდებარე რეგლამენტის განხორციელებისთვის საჭირო ზომები მიღებულ უნდა იქნას კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების პროცედურების განსაზღვრის შესახებ საბჭოს 1999 წლის 28 ივნისის 1999/468/EC გადაწყვეტილების¹ შესაბამისად.
- (24) კერძოდ, კომისიას უნდა მიენიჭოს იმ დარღვევების კატეგორიებისა და ტიპების ჩამონათვალის, ასევე მათი სიმძიმის განსაზღვრის უფლებამოსილება, რასაც შედეგად მოჰყვება საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორების საქმიანი რეპუტაციის შელახვა, წინამდებარე რეგლამენტის წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებული პროფესიული კომპეტენტურობისა და კომპეტენტურობის სერტიფიკატის მოდელის შესახებ I, II და III დანართების ტექნიკური პროგრესის შედეგად ადაპტაციის უფლებამოსილება, ასევე იმ დარღვევების ჩამონათვალის, გარდა წინამდებარე რეგლამენტის IV დანართში მოცემულისა, განსაზღვრის უფლებამოსილება, რასაც ახლავს საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ვინაიდან აღნიშნული ზომები ატარებს ზოგად ხასიათს და შემუშავებულია წინამდებარე რეგლამენტის არაარსებით ელემენტებში ცვილილებების შესატანად, კერძოდ, მასში ახალი არაარსებითი ელემენტების დასამატებლად, მათი მიღება უნდა მოხდეს 1999/468/EC გადაწყვეტილების 5ა მუხლით გათვალისწინებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.
- (25) გაუქმდეს 1996 წლის 29 აპრილის 96/26/EC დირექტივა,

მიიღეს შემდეგი რეგლამენტი:

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

საგანი და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე რეგლამენტი არეგულირებს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის ბაზარზე დაშვებისა და განხორციელების პირობებს.
2. წინამდებარე რეგლამენტი ვრცელდება ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე დაფუძნებულ საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობით დაკავებულ ყველა საწარმოზე, ასევე იმ საწარმოებზე, რომლებიც გეგმავენ ამგვარ საქმიანობას. საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში იგულისხმება ის საწარმოებიც, რომლებიც ამგვარი საქმიანობის განხორციელებას გეგმავენ.
3. ხელშეკრულების 299-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ რეგიონებთან დაკავშირებით, შესაბამის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ საავტომობილო

¹ ოფიციალური ჟურნალი L 184, 17.7.1999, გვ. 23.

გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელების პირობების ადაპტირება იმ საწარმოებისთვის, რომლებიც დაფუძნებული არიან და ფუნქციონირებენ მხოლოდ აღნიშნულ რეგიონებში.

4. მე-2 პუნქტში განსაზღვრული დებულებებიდან გადახვევის გზით, წინამდებარე რეგლამენტი, თუ ადგილობრივი კანონმდებლობა სხვაგვარად არ განსაზღვრავს, არ ვრცელდება:
 - (ა) საწარმოებზე, რომლებიც საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობას ახორციელებენ ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ან ავტომატარებლებით, რომელთა ნებადართული მაქსიმალური დატვირთული მასა არ აღემატება 3.5 ტონას, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აღნიშნული ლიმიტის შემცირება ყველა ან ცალკეული კატეგორიის სატრანსპორტო ოპერაციის შემთხვევაში;
 - (ბ) საწარმოებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მგზავრების გადაყვანის მომსახურებას მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის ან რომელთა საქმიანობის ძირითად საგანს არ წარმოადგენს მგზავრების გადაყვანა ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით;
 - (გ) საწარმოებზე, რომლებიც ახორციელებენ საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობას მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, რომელთა ნებადართული მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატება 40 კმ/სთ-ს;
5. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ წინამდებარე რეგლამენტის მოქმედების სფეროდან გამორიცხონ, სრულად ან ნაწილობრივ, ის საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორები, რომლებიც ახორციელებენ სატრანსპორტო ოპერაციებს მხოლოდ ქვეყნის ფარგლებში და არ ახდენენ მნიშვნელოვან ზეგავლენას სატრანსპორტო ბაზარზე:
 - (ა) გადასაზიდი ტვირთის ხასიათის გამო; ან
 - (ბ) გადაზიდვის მცირე მანძილის გამო.

მუხლი 2

განსაზღვრებები

წინამდებარე რეგლამენტის მიზნებისთვის:

1. „ტვირთის გადაზიდვა ოპერატორის საქმიანობა“ - ნებისმიერი საწარმოს საქმიანობა, რომელიც ახორციელებს ტვირთების გადაზიდვას დაქირავებით ან ანაზღაურებით ავტოსატრანსპორტო საშუალებების ან ავტომატარებლების გამოყენებით;
2. "მგზავრები გადაყვანი ოპერატორის საქმიანობა"- ნებისმიერი საწარმოს საქმიანობა, რომელიც ახორციელებს გარკვეული კატეგორიის მგზავრების გადაყვანას საფასურით, რომელსაც იხდის ან მგზავრი ან ტრანსპორტირების ორგანიზატორი, ისეთი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ცხრა ან მეტი მგზავრის, მათ შორის მძღოლის, ტრანსპორტირებაზეა გათვლილი;

3. "საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობა"- მოიცავს მგზავრების გადამყვანი ოპერატორისა და ტვირთის გადამზიდავი ოპერატორის საქმიანობას;
4. "საწარმო" - ნებისმიერ ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ან არ წარმოადგენს მოგების მიღება, ნებისმიერი ასოციაცია ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე პირთა ჯგუფი, რომლის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ან არ წარმოადგენს მოგების მიღება, ან ნებისმიერი ოფიციალური პირი, იურიდიული პირის სტატუსის მქონე ან იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანოს სახელით მოქმედი, რომელიც ახორციელებს მგზავრების გადაყვანას ან ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოგების მიზნით ეწევა ტვირთის გადაზიდვას;
5. "სატრანსპორტო მენეჯერი" - საწარმოს ფარგლებში მომუშავე ფიზიკური პირი ან თუ აღნიშნული საწარმო ფიზიკურ პირს წარმოადგენს, პირი, რომელიც მოქმედებს საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და აღნიშნული საწარმოს ეფექტურ და უწყვეტ მართვას ახორციელებს;
6. "საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელების ნებართვა" - ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რომლითაც საწარმოს, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ენიჭება საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელების ნებართვა;
7. "კომპეტენტური ორგანო" - სახელმწიფო, რეგიონული ან ადგილობრივი ორგანო წევრ სახელმწიფოში, რომელიც, საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელების ნებართვის გაცემის მიზნით, ამოწმებს, შეესაბამება თუ არა საწარმო წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებულ პირობებს, და რომელიც უფლებამოსილია, მიანიჭოს, შეაჩეროს ან გააუქმოს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელების ნებართვა;
8. "დაფუძნების წევრი სახელმწიფო" - წევრი სახელმწიფო, სადაც დაფუძნებულია საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული საწარმოს სატრანსპორტო მენეჯერის წარმოშობა შესაძლებელია სხვა ქვეყნიდან იყოს.

მუხლი 3

საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. საწარმოებს, რომლებიც ეწევიან საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობას:
 - (ა) უნდა ჰქონდეთ ეფექტური და სტაბილური წარმომადგენლობა წევრ სახელმწიფოში;

- (ბ) უნდა სარგებლობდნენ კარგი რეპუტაციით;
 - (გ) უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა; და
 - (დ) უნდა ჰქონდეთ შესაბამისი პროფესიონალური კვალიფიკაცია.
2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც იქნება თანაზომიერი და არადისკრიმინაციული და რომლებიც სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი საწარმოების მიერ საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელების მიზნით.

მუხლი 4

სატრანსპორტო მენეჯერი

1. საწარმომ, რომელიც ახორციელებს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობას, უნდა წარმოადგინოს მინიმუმ ერთი ფიზიკური პირი - სატრანსპორტო მენეჯერი, რომელიც აკმაყოფილებს 3(1)(ბ) და (დ) მუხლის მოთხოვნებს და რომელიც:
 - (ა) ეფექტურად და უწყვეტად მართავს საწარმოს სატრანსპორტო საქმიანობას;
 - (ბ) გააჩნია მოქმედი კავშირი საწარმოსთან, ანუ წარმოადგენს მის თანამშრომელს, დირექტორს, მფლობელს ან აქციონერსა თუ მმართველს ან, თუ საწარმო ფიზიკური პირია, წარმოადგენს თავად აღნიშნულ პირს; და
 - (გ) არის ევროპულ გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოს რეზიდენტი.
2. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ვერ აკმაყოფილებს 3(1)(დ) მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესიულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მიანიჭოს მას საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის უფლებამოსილება სატრანსპორტო მენეჯერის დანიშვნის გარეშე, წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად იმ პირობით, თუ:
 - (ა) საწარმო ნიშნავს ფიზიკურ პირს - ევროპული გაერთიანების რეზიდენტს, რომელიც აკმაყოფილებს 3(1)(ბ) და (დ) მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელიც უფლებამოსილია ხელშეკრულების საფუძველზე, შეასრულოს სატრანსპორტო მენეჯერის მოვალეობები საწარმოს სახელით;
 - (ბ) საწარმოსა და (ა) პუნქტში მითითებულ პირს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ამოცანები, რომლებსაც აღნიშნული პირი უნდა ასრულებდეს ეფექტურად და უწყვეტად, ასევე მითითებულია ამ პირის, როგორც სატრანსპორტო მენეჯერის მოვალეობები. კერძოდ, აღნიშნული ამოცანები უნდა ითვალისწინებდეს სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებას, სატრანსპორტო ხელშეკრულებებისა და დოკუმენტების შემოწმებას, ძირითად ბუღალტრულ აღრიცხვას, ტვირთების ან სერვისების მძღოლებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე განაწილებას და პროცედურების უსაფრთხოების შემოწმებას;

- (გ) (ა) პუნქტში მითითებულ პირს სატრანსპორტო მენეჯერის უფლებამოსილებით შეუძლია წარმართოს არა უმეტეს ოთხი სხვადასხვა საწარმოს სატრანსპორტო საქმიანობა, რომელთა სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა არ აღემატება 50 ერთეულს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეამცირონ საწარმოთა რაოდენობა ან/და შეამცირონ იმ სატრანსპორტო საშუალებების საერთო რაოდენობა, რომელთა მართვაც შეუძლია აღნიშნულ პირს; და
- (დ) (ა) პუნქტში მითითებული პირი ასრულებს განსაზღვრულ ამოცანებს მხოლოდ საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე და საკუთარ მოვალეობებს ახორციელებს იმ საწარმოებისგან დამოუკიდებლად, რომლისთვისაც აღნიშნული საწარმო ეწევა სატრანსპორტო ოპერაციებს.
3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რომ სატრანსპორტო მენეჯერებს, რომლებიც პირველი პუნქტის საფუძველზე ახორციელებენ საქმიანობას, არ შეუძლიათ დამატებით საქმიანობა მე-2 პუნქტის საფუძველზე, ან აღნიშნული საქმიანობა უნდა შემოიფარგლებოდეს საწარმოების ან/და სატრანსპორტო საშუალებების უფრო შეზღუდული რაოდენობით, ვიდრე ეს 2(გ) პუნქტშია განსაზღვრული.
4. საწარმო ვალდებულია, კომპეტენტურ ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია სატრანსპორტო მენეჯერის ან მენეჯერების დანიშვნის შესახებ.

თავი II

მე-3 მუხლში მითითებული მოთხოვნების შესრულების პირობები

მუხლი 5

საწარმოს დაფუძნებასთან დაკავშირებული პირობები

- 3(1)(ა) მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, შესაბამის წევრ სახელმწიფოში:
- (ა) საწარმოს უნდა ჰქონდეს წარმომადგენლობა აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში შენობა-ნაგებობებთან ერთად, სადაც შეინახება მისი ძირითადი საქმიანი დოკუმენტაცია, კერძოდ, საადრიცხვო დოკუმენტები, თანამშრომლების ფაილები, სამუშაო დროისა და დასვენების დროის აღმრიცხველი დოკუმენტაცია, ასევე ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომლის გამოთხოვაც შეუძლია კომპეტენტურ ორგანოს, საწარმოს წინამდებარე რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ მათ ტერიტორიაზე დაფუძნებული საწარმოს დოკუმენტების ჩამონათვალის გაზრდა, რომლებიც ნებისმიერ დროს იქნება ხელმისაწვდომი;
- (ბ) საწარმოს, შესაბამისი ნებართვის მოპოვების შემდგომ, უნდა ჰყავდეს ერთი ან ერთზე მეტი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც იქნება რეგისტრირებული ან სხვაგვარად გაშვებული მიმოსვლაში შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები წარმოდგენილი იქნება თუ არა საწარმოს სრულ საკუთრებაში ან მაგალითად, საწარმო

ფლობს თუ არა მათ იჯარის, იჯარა-გამოსყიდვის ან ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე;

- (გ) საწარმო ეფექტურად და უწყვეტად ახორციელებს საქმიანობას (ბ) პუნქტში მითითებულ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით შესაბამისი ადმინისტრაციული აღჭურვილობის და სათანადო ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, აღნიშნული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ შესაბამის ცენტრში.

მუხლი 6

კარგ რეპუტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ იმ პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ საწარმოები და სატრანსპორტო მენეჯერები, 3(1)(ბ) მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

იმ ფაქტის განსაზღვრის მიზნით, აკმაყოფილებს თუ არა საწარმო განსაზღვრულ მოთხოვნას, წევრი სახელმწიფოები მხედველობაში მიიღებენ საწარმოს საქმიანობას, მისი სატრანსპორტო მენეჯერების, ასევე ნებისმიერ სხვა შესაბამისი პირების ქმედებებს, რომლის ჩამონათვალსაც წარმოადგენს წევრი სახელმწიფო. ნებისმიერი მითითება წინამდებარე მუხლში პასუხისმგებლობაში მიცემაზე, სანქციების დაწესებაზე ან სამართალდარღვევაზე, გულისხმობს თავად საწარმოს, მისი სატრანსპორტო მენეჯერების ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი პირის პასუხისმგებლობაში მიცემას, მათზე სანქციების დაწესებას ან მათ მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას, რომლის ჩამონათვალსაც განსაზღვრავს წევრი სახელმწიფო.

პირველ ქვეპუნქტში მითითებული პირობები უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ შემდეგს:

- (ა) სატრანსპორტო მენეჯერების ან სატრანსპორტო საწარმოების საქმიან რეპუტაციაში ეჭვის შეტანის სერიოზული საფუძვლის არარსებობა, როგორცაა ნასამართლეობა ან სანქციების დაწესება შემდეგ სფეროებში მოქმედი სამართლებრივი ნორმების სერიოზული დარღვევის მიზეზით:

- (i) სავაჭრო სამართალი;
- (ii) გადახდისუნარიობის შესახებ კანონი;
- (iii) შრომის ანაზღაურება და შრომითი პირობების დაცვა;
- (iv) საგზაო მოძრაობა;
- (v) პროფესიული პასუხისმგებლობა;
- (vi) ადამიანებით ან ნარკოტიკებით ვაჭრობა; და

- (ბ) სატრანსპორტო მენეჯერის ან სატრანსპორტო საწარმოს ნასამართლეობის არქონა ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოში მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ან ევროპული გაერთიანების მიერ დაწესებული წესების სერიოზული დარღვევისთვის სანქციების დაწესების ფაქტების არარსებობა, რომლებიც ეხება:
- (i) სატრანსპორტო საშუალების მართვისა და და
 - (ii) სვენების დროს, სამუშაო დროს და საკონტროლო მოწყობილობის დამონტაჟებასა და გამოყენებას;
 - (ii) საერთაშორისო გადაზიდვებისთვის განკუთვნილი კომერციული სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალურ დასაშვებ წონასა და გაზარიტებს;
 - (iii) მძღოლების საწყის კვალიფიკაციასა და მათ უწყვეტ გადამზადებას;
 - (iv) კომერციული სატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობას, მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტესტირებას;
 - (v) ტვირთის გადამზიდავი ან მგზავრების გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებების ბაზარზე დაშვებას;
 - (vi) უსაფრთხოების უზრუნველყოფას სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას;
 - (vii) სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების დამონტაჟებასა და გამოყენებას გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებში;
 - (viii) მართვის მოწმობებს;
 - (ix) საქმიანობის ნებართვას;
 - (x) ცხოველების გადაყვანას.

2. პირველი პუნქტის მესამე ქვეპუნქტის (ბ) დანაყოფის მიზნებისთვის:

- (ა) იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო მენეჯერი ან სატრანსპორტო საწარმო ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოში იყო პასუხისმგებლობაში მიცემული მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ან მასზე დაწესებულ იქნა სანქციები IV დანართში განსაზღვრული ევროპული გაერთიანის მიერ დადგენილი წესების სერიოზული დარღვევებისთვის, იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო, სადაც საწარმოა დაფუძნებული, უფლებამოსილია, დროულად და სათანადოდ მოიყვანოს სისრულეში სრული ადმინისტრაციული პროცედურა, რომელიც საჭიროებისამებრ ითვალისწინებს შესაბამისი საწარმოს შენობა-ნაგებობების შემოწმებას.

აღნიშნული პროცედურის შედეგად უნდა განისაზღვროს, ინდივიდუალური შემთხვევების გათვალისწინებით, წარმოადგენს თუ არა რეპუტაციის შელახვა თანაზომიერ შედეგს. მიღებული დასკვნა შესაბამისად უნდა იქნას დასაბუთებული და ახსნილი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპეტენტური ორგანო დაადგენს, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა არ წარმოადგენს თანაზომიერ შედეგს, მას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ საქმიანი რეპუტაცია არ არის შელახული. ამ შემთხვევაში, მიზეზები უნდა აისახოს სახელმწიფო რეესტრში. ასეთი გადაწყვეტილებების რაოდენობა უნდა მიეთითოს 26-ე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ანგარიშში.

თუ კომპეტენტური ორგანო არ ჩათვლის, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა წარმოადგენს თანაზომიერ შედეგს, საწარმოს პასუხისმგებლობაში მიცემას ან სანქციების დაწესებას შედეგად მოჰყვება საქმიანი რეპუტაციის შელახვა;

- (ბ) კომისია ადგენს ევროპული გაერთიანების მიერ დაწესებული წესების დარღვევების კატეგორიების, სახეებისა და სიმძიმის ჩამონათვალს, რომლებმა, IV დანართში ჩამოთვლილ დარღვევებთან ერთად, შესაძლებელია გამოიწვიოს საქმიანი რეპუტაციის შელახვა. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შემოწმებების ჩატარების პრიორიტეტების განსაზღვრისას, წევრი სახელმწიფოები მხედველობაში მიიღებენ მსგავსი დარღვევების შესახებ არსებულ ინფორმაციას, მათ შორის სხვა წევრი სახელმწიფოებისგან მიღებულ ინფორმაციას.

აღნიშნული ზომები, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე რეგლამენტის არაარსებით ელემენტებში შესწორებების შეტანის მიზნით, მათში დამატების შეტანის გზით და რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნულ ჩამონათვალში, მიიღება 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.

აღნიშნული მიზნით, კომისია:

- (i) განსაზღვრავს ყველაზე ხშირი სამართალდარღვევების კატეგორიებისა და სახეების ჩამონათვალს;
- (ii) განსაზღვრავს სამართალდარღვევების სიმძიმეს, გარდაცვალების ან სხეულის დაზიანების რისკის წარმოშობის ალბათობიდან გამომდინარე;
- (iii) დაადგენს სამართალდარღვევების სიხშირეს, რომლის შემდგომაც განმეორებითი სამართალდარღვევა ჩაითვლება უფრო მძიმედ, გადაზიდვებში ჩართული მძღოლების რაოდენობის გათვალისწინებით, რომელთაც მართავს სატრანსპორტო მენეჯერი.

3. მე-3 მუხლის (1)(ბ) პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არ ჩაითვლება შესრულებულად, თუ შიდა კანონმდებლობის შესაბამისი დებულების თანახმად არ მოხდება აღდგენითი ან ეკვივალენტური შედეგის მქონე ზომის სისრულეში მოყვანა.

მუხლი 7

ფინანსური მდგომარეობის მოთხოვნასთან დაკავშირებული პირობები

1. მე-3 მუხლის (1)(გ) პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, საწარმოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს შეასრულოს მისი ფინანსური ვალდებულებები ფინანსური წლის განმავლობაში. აღნიშნული მიზნით, საწარმომ უნდა გამოაქვეყნოს აუდიტორის ან სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული წლიური ანგარიში, სადაც მითითებული იქნება, რომ მას გააჩნია კაპიტალი და რეზერვები მინიმუმ 9 000 ევროს ოდენობით, როდესაც გამოიყენება მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალება და 5 000 ევროს ოდენობით ყოველი დამატებით გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებისთვის.

წინამდებარე რეგლამენტის მიზნებისთვის, ყოველწლიურად უნდა განისაზღვროს ევროს კურსი იმ წევრი სახელმწიფოების ვალუტებთან მიმართებაში, რომლებიც არ მონაწილეობენ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მესამე ეტაპში. ვალუტის გაცვლის კურსები განისაზღვრება ოქტომბრის პირველ სამუშაო დღეს და გამოქვეყნდება *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში*. აღნიშნული კურსები ძალაში შედის მომდევნო კალენდარული წლის 1 იანვრიდან.

პირველ ქვეპუნქტში მითითებული ყოველი ანგარიშგების პუნქტი განიხილება, როგორც ეს 1978 წლის 25 ივლისის საბჭოს მეოთხე 78/660/EEC დირექტივაშია განსაზღვრული, კონკრეტული ტიპის კომპანიების¹ წლიური ანგარიშის შესახებ ხელშეკრულების 54(3)(ზ) მუხლის საფუძველზე.

2. პირველ პუნქტში განსაზღვრული დებულებებიდან გადახვევის გზით, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია თანხმობა განაცხადოს ან მოსთხოვოს საწარმოს სათანადო ფინანსური მდგომარეობის დადასტურება საბანკო გარანტიის ან დაზღვევის წარდგენის გზით, მათ შორის ერთი ან რამდენიმე ბანკის ან სხვა ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის სადაზღვევო კომპანიების მიერ უზრუნველყოფილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, რითაც საწარმოს ენიჭება სოლიდარული ან რამდენიმე გარანტია პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტში განსაზღვრულ თანხებთან მიმართებაში.
3. პირველ პუნქტში მითითებული წლიური ანგარიშები და მე-2 პუნქტში მითითებული გარანტია უნდა შემოწმდეს იმ წევრ სახელმწიფოში დარეგისტრირებული ფინანსური დაწესებულების მიერ, სადაც საწარმოს გაკეთებული აქვს განაცხადი საქმიანობის ნებართვაზე. შემოწმების უფლება არ გააჩნიათ სხვა წევრ სახელმწიფოში დარეგისტრირებულ დაწესებულებებს.

მუხლი 8

პროფესიული კომპეტენტურობის მოთხოვნასთან დაკავშირებული პირობები

1. მე-3 მუხლის (1)(დ) პუნქტში მითითებულ მოთხოვნასთან შესაბამისობის მიზნით, შესაბამისი პირი ან პირები უნდა ფლობდნენ I დანართის I ნაწილში განსაზღვრული დონის შესაბამის ცოდნას მითითებულ საგნებში. აღნიშნული ცოდნის

¹ ოფიციალური ჟურნალი L 222, 14.8.1978, გვ. 11.

დადასტურების მიზნით, ზემოხსენებულმა პირებმა უნდა ჩააბარონ სავალდებულო წერილობითი გამოცდა. წევრი სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, წერილობით გამოცდას შესაძლებელია დაემატოს ზეპირი გამოცდაც. აღნიშნული გამოცდები ჩატარდება I დანართის II ნაწილის შესაბამისად. ამ მიზნით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ სავალდებულო ტრენინგი გამოცდამდე.

2. დაინტერესებული პირები გამოცდას ჩააბარებენ იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც მუდმივად ცხოვრობენ ან იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც მუშაობენ.

‘მუდმივ საცხოვრებელში’ იგულისხმება ადგილი, სადაც პირი მინიმუმ 185 კალენდარული დღის განმავლობაში ცხოვრობს და რომელთანაც მჭიდრო კავშირი გააჩნია.

თუმცა, იმ პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც სხვადასხვა ადგილზე გააჩნია პროფესიული და პირადი კავშირები და რომელიც, შესაბამისად, ცხოვრობს ორ ან ორზე მეტ წევრ სახელმწიფოში მდებარე სხვადასხვა ადგილზე, ჩაითვლება ადგილად, სადაც მას გააჩნია პირადი კონტაქტები, იმ პირობით, თუ პირი რეგულარულად ბრუნდება აღნიშნულ ადგილზე. ეს უკანასკნელი პირობა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ პირი ცხოვრობს წევრ სახელმწიფოში, სადაც დროებით ასრულებს სამუშაოს, ასევე სასწავლო დაწესებულებებში სწავლის შემთხვევაში.

3. პირველ პუნქტში მითითებული წერილობითი და ზეპირი გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ წევრი სახელმწიფოს მიერ სათანადოდ უფლებამოსილ ორგანოებსა და დაწესებულებებს. წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა შეამოწმონ, ატარებენ თუ არა აღნიშნული ორგანოები გამოცდებს I დანართის შესაბამისად.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მათ მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ნება დართონ შესაბამის ორგანოებს, უზრუნველყონ განმცხადებლები ხარისხიანი ტრენინგით გამოცდებისთვის მოსამზადებლად, ასევე კვალიფიკაციის ამალღების მსურველი სატრანსპორტო მენეჯერები უზრუნველყონ უწყვეტი გადამზადებით. წევრი სახელმწიფოები რეგულარულად უნდა ამოწმებდნენ ხსენებული დაწესებულებების დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობას.

5. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სატრანსპორტო მენეჯერების კვალიფიკაციის ასამალღებელი პერიოდული ტრენინგების ჩატარებას I დანართში ჩამოთვლილ საგნებში, მათი ცოდნის დარგში მიმდინარე ცვლილებებთან შესაბამისობის მიზნით.

6. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადამზადების მოთხოვნა დაუწესონ იმ პირებს, რომლებიც ფლობენ პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატს, მაგრამ ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავიათ მენეჯერულ პოზიციაზე ტვირთის გადაზიდვების ან მგზავრების გადაყვანის სფეროში, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესახებ ცოდნის განახლების მიზნით, I დანართის I ნაწილის შესაბამისად.

7. წევრ სახელმწიფოს შეუძლია ის პირები, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნული წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული უმაღლესი ან ტექნიკური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, გაათავისუფლოს იმ საგნებში გამოცდების ჩაბარებისგან, რომლებიც ჩამოთვლილი I დანართშია და რომელთა ცოდნასაც ზემოხსენებული დოკუმენტი ადასტურებს. აღნიშნული გათავისუფლება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი I დანართის I ნაწილის ყოველ სექციაში ჩამოთვლილი ყველა საგნის ცოდნას ადასტურებს.
- წევრ სახელმწიფოს შეუძლია გამოცდების აღნიშნულ ნაწილში ის პირები გაათავისუფლოს გამოცდების ჩაბარების ვალდებულებისგან, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელების სფეროში მოქმედი პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
8. მე-3 პუნქტში მითითებული ორგანოს ან დაწესებულების მიერ გაცემული სერტიფიკატი წარმოადგენს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ საბუთს. აღნიშნული სერტიფიკატის გადაცემა სხვა პირებისთვის დაუშვებელია. სერტიფიკატი უნდა ჰქონდეს დამცავი ნიშნები და შეესაბამებოდეს II და III დანართებით წარმოდგენილ ნიმუშს და უნდა იყოს ბეჭედდასმული სათანადოდ უფლებამოსილი გამცემი ორგანოს ან დაწესებულების მიერ.
9. კომისიას გააჩნია ტექნიკურ პროგრესთან I, II და III დანართების ადაპტირების უფლება. წინამდებარე რეგლამენტის არაარსებითი ელემენტების შესასწორებლად შემუშავებული ეს ზომები მიღებულ უნდა იყოს 25-ე მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.
10. კომისია ხელს შეუწყობს წევრ სახელმწიფოებს შორის ან წევრი სახელმწიფოების მიერ უფლებამოსილი ნებისმიერი ორგანოს მეშვეობით გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარებას, ტრენინგებთან, გამოცდებთან და სერტიფიკატებთან დაკავშირებით.

მუხლი 9

გამოცდებისგან გათავისუფლება

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება გამოცდებისგან მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების გათავისუფლებაზე, თუ აღნიშნული პირები წარმოადგენენ ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოში ტვირთის გადაზიდვებისა და მგზავრების გადაყვანის სფეროში ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის 10-წლიანი უწყვეტი სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტს 2009 წლის 4 დეკემბრამდე.

თავი III

უფლებამოსილება და მონიტორინგი

მუხლი 10

კომპეტენტური ორგანოები

1. ყოველი წევრი სახელმწიფო ანიჭებს ერთ ან რამდენიმე ორგანოს წინამდებარე რეგლამენტის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფის უფლებამოსილებას. აღნიშნულ კომპეტენტურ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება:
 - (ა) განიხილონ საწარმოების მიერ წარმოდგენილი განაცხადები;
 - (ბ) გასცენ საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელების ნებართვები და შეაჩერონ ან გააუქმონ აღნიშნული ნებართვები;
 - (გ) გამოაცხადონ საწარმოს სატრანსპორტო საქმიანობის ხელმძღვანელი ფიზიკური პირი როგორც სატრანსპორტო მენეჯერის თანამდებობისთვის შეუფერებელი პირი;
 - (დ) ჩაატარონ საჭირო შემოწმებები, მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან საწარმოს შესაბამისობის კონტროლის მიზნით.
2. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გამოაქვეყნონ წინამდებარე რეგლამენტის საფუძველზე განსაზღვრული ყველა პირობა, ნებისმიერი სხვა სახელმწიფო დადგენილებები, დაინტერესებული განმცხადებლების მიერ განსახორციელებელი პროცედურები, ასევე შესაბამისი განმარტებები.

მუხლი 11

განცხადებების განხილვა და რეგისტრაცია

1. სატრანსპორტო საწარმოს, რომელიც აკმაყოფილებს მე-3 მუხლში განსაზღვრულ მოთხოვნებს, განცხადების წარდგენის საუბველზე შეუძლია განახორციელოს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობა. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განსაზღვროს, შეესაბამება თუ არა განცხადებელი საწარმო აღნიშნულ მუხლში განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. კომპეტენტურმა ორგანომ მე-16 მუხლში მითითებულ სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში უნდა შეიტანოს ინფორმაცია იმ საწარმოების შესახებ, რომელთა მიმართაც მის მიერ გაცემულია ნებართვა და რომლებიც გათვალისწინებულია მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის (ა) - (დ) ნაწილებში.
3. კომპეტენტური ორგანოს მიერ ნებართვასთან დაკავშირებული განაცხადის განხილვის ვადა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე და არ უნდა აღემატებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ განაცხადის განსახილველად საჭირო ყველა დოკუმენტის მიღებიდან 3 თვეს. დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია გააგრძელოს აღნიშნული ვადა დამატებით ერთი თვით.
4. 2012 წლის 31 დეკემბრამდე, კომპეტენტური ორგანო ვალდებულია, საწარმოს საქმიანი რეპუტაციის შემოწმებისას რაიმე ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში,

შეამოწმოს, განაცხადის გაკეთების მომენტში სატრანსპორტო მენეჯერი ან მენეჯერები რომელიმე წევრ სახელმწიფოში საწარმოს სატრანსპორტო საქმიანობის მმართველ პოზიციაზე მუშაობისთვის შეუფერებლად ხომ არ არის აღიარებული, მე-14 მუხლის თანახმად.

2013 წლის 1 იანვრიდან, საწარმოს საქმიანი რეპუტაციის შეფასებისას, კომპეტენტური ორგანო ვალდებულია, შეამოწმოს, სახელმწიფო რეესტრის შესაბამის განყოფილებაზე პირდაპირი უსაფრთხო წვდომის ან ინფორმაციის გამოთხოვის გზით, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის (ვ) ნაწილში მითითებული მონაცემები, კერძოდ, განაცხადის გაკეთების მომენტში სატრანსპორტო მენეჯერი ან მენეჯერები რომელიმე წევრ სახელმწიფოში საწარმოს სატრანსპორტო საქმიანობის მმართველ პოზიციაზე მუშაობისთვის შეუფერებლად ხომ არ არის აღიარებული, მე-14 მუხლის თანახმად.

წინამდებარე რეგლამენტში არაარსებითი შესწორებების განხორციელების მიზნით შემუშავებული და წინამდებარე პუნქტში განსაზღვრული ვადების მაქსიმუმ 3 წლით გადავადებასთან დაკავშირებული ზომები მიიღება მე-25 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.

5. საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელების ნებართვის მქონე საწარმოებმა, 28-დღიანი ან უფრო ნაკლები ვადის განმავლობაში, უნდა შეატყობინონ ნებართვის გამცემ კომპეტენტურ ორგანოს მე-2 პუნქტში მითითებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ, იმ წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, სადაც საწარმო არის დაფუძნებული.

მუხლი 12

შემოწმებები

1. კომპეტენტური ორგანოები ვალდებულნი არიან, კონტროლი გაუწიონ მათ მიერ უფლებამოსილ საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განამხორციელებელ საწარმოებს, მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით, წევრი სახელმწიფოები შეამოწმებენ იმ საწარმოებს, რომლებიც წარმოადგენენ მაღალ რისკს. ამ მიზნით, წევრი სახელმწიფოები განავრცობენ საბჭოს საავტომობილო გადაზიდვების საქმიანობასთან დაკავშირებული სოციალური დაცვის კანონის შესახებ (EEC) №3820/85 და (EEC) №3821/85 რეგლამენტების¹ განხორციელების მინიმალური პირობების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის 2006/22/EC დირექტივის მე-9 მუხლის საფუძველზე მათ მიერ დადგენილ რისკების კლასიფიკაციის სისტემას, რათა მან მოიცვას წინამდებარე რეგლამენტის მე-6 მუხლში მითითებული ყველა დარღვევა.

¹ ოფიციალური ჟურნალი L 102, 11.4.2006, გვ. 35.

2. 2014 წლის 31 დეკემბრამდე, წევრი სახელმწიფოები შეამოწმებენ საწარმოებს მინიმუმ ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, მე-3 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

წინამდებარე რეგლამენტში არაარსებითი შესწორებების შეტანისთვის შემუშავებული და წინამდებარე პირველ ქვეპუნქტში განსაზღვრული ვადის გადავადებასთან დაკავშირებული ზომები მიიღება 25-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მარეგულირებელი პროცედურების შესაბამისად.

3. წევრი სახელმწიფოები სისრულეში მოიყვანენ ინდივიდუალურ შემოწმებებს, დასაბუთებულ შემთხვევებში კომისიის მოთხოვნისამებრ, საწარმოების საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის დაშვების მარეგულირებელ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. წევრი სახელმწიფო მიაწოდებს კომისიას ინფორმაციას ასეთი შემოწმებების შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ, თუ დადგინდება, რომ საწარმო არ შეესაბამება წინამდებარე რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 13

ნებართვების შეჩერებისა და გაუქმების პროცედურები

1. იმ შემთხვევაში, თუ კომპეტენტური ორგანო განსაზღვრავს, რომ არსებობს საწარმოს მე-3 მუხლში მითითებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის რისკი, იგი აღნიშნულ ინფორმაციას მიაწვდის საწარმოს. თუ კომპეტენტური ორგანო დაადგენს, რომ საწარმოს მიერ აღარ სრულდება ერთი ან ერთზე მეტი მოთხოვნა, მას შეუძლია საწარმოს დაუწესოს შემდეგი ვადა აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად:
- (ა) 6-თვიანი ვადა, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს 3 თვით სატრანსპორტო მენეჯერის გარდაცვალების ან ფიზიკური ქმედუნარობის შემთხვევაში, ახალი სატრანსპორტო მენეჯერის დაქირავებისთვის, თუ სატრანსპორტო მენეჯერი ვეღარ აკმაყოფილებს საწარმოს საქმიან რეპუტაციასთან ან პროფესიულ კომპეტენტურობასთან დაკავშირებულ მოთხოვნას;
 - (ბ) არაუმეტეს 6-თვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც საწარმომ უნდა გამოასწოროს არსებული სიტუაცია და აჩვენოს, რომ მას გააჩნია მოქმედი და სტაბილური წარმომადგენლობა;
 - (გ) არაუმეტეს 6-თვიანი ვადა, თუ არ მოხდება ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნის დაკმაყოფილება, რათა საწარმომ უზრუნველყოს, რომ აღნიშნული მოთხოვნა სამუდამოდ შესრულდება.
2. კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს საწარმოს, რომლის ნებართვა შეჩერებული ან გაუქმებულია, ნებისმიერი აღდგენითი ზომის მიღებამდე, წარმოადგინოს ინფორმაცია სატრანსპორტო მენეჯერების მიერ მე-8 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გამოცდების ჩაბარების შესახებ.

3. თუ კომპეტენტური ორგანო დაადგენს, რომ საწარმო ვეღარ ასრულებს მე-3 მუხლში მითითებულ ერთ ან რამდენიმე მოთხოვნას, კომპეტენტური ორგანო შეუჩერებს ან გაუუქმებს მას საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის ნებართვას წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადით.

მუხლი 14

სატრანსპორტო მენეჯერის შეუფერებლად გამოცხადება

1. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო მენეჯერის საქმიანი რეპუტაცია აღარ აკმაყოფილებს მე-6 მუხლში განსაზღვრულ მოთხოვნებს, კომპეტენტური ორგანო გამოაცხადებს მას საწარმოს სატრანსპორტო საქმიანობის მმართველი პოზიციისთვის შეუფერებლად.
2. სახელმწიფო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი დებულებების მიხედვით საკორექციო ზომის მიღებამდე, მე-8 მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული პოზიციისთვის შეუფერებლად გამოცხადებული სატრანსპორტო მენეჯერის კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი აღარ ჩაითვლება მოქმედად რომელიმე წევრ სახელმწიფოში.

მუხლი 15

კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებები და მათი გასაჩივრება

1. წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მიერ წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად მიღებულ უარყოფით გადაწყვეტილებებში, მათ შორის განაცხადზე უარის თქმის, მოქმედი ნებართვების შეჩერების ან გაუქმებისა და სატრანსპორტო მენეჯერის შეუფერებლად გამოცხადების შემთხვევაში, მითითებული უნდა იქნას აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზები.

აღნიშნული გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას საწარმოს ან სატრანსპორტო მენეჯერის მიერ განხორციელებულ დარღვევებზე, რასაც შედეგად საწარმოს საქმიანი რეპუტაციის შელახვა მოჰყვება, ან კომპეტენტური ორგანოს ხელთ არსებულ ნებისმიერ სხვა ინფორმაციას. გადაწყვეტილებებში მითითებული უნდა იყოს საკორექციო ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ნებართვის შეჩერების ან შეუფერებლად გამოცხადების შემთხვევაში.

2. წევრი სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ, რომ საწარმოებს და შესაბამის პირებს პირველი პუნქტში მითითებული გადაწყვეტილებების მინიმუმ ერთ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ინსტანციაში ან საერთო სასამართლოში გასაჩივრების საშუალება ჰქონდეთ.

თავი IV

გამარტივება და ადმინისტრაციული თანამშრომლობა

მუხლი 16

სახელმწიფო ელექტრონული რეესტრები

1. წინამდებარე რეგლამენტის, კერძოდ, 11-14 და 26-ე მუხლების სისრულეში მოყვანის მიზნით, ყოველი წევრი სახელმწიფო აწარმოებს მის მიერ დანიშნული კომპეტენტური ორგანოების მიერ ნებადართული საავტომობილო გადაზიდვების საქმიანობით დაკავებული საწარმოების სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრს. აღნიშნულ რეესტრში დაცული მონაცემები დამუშავდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ. სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში დაცული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ყოველი კომპეტენტური ორგანოსთვის.

2009 წლის 31 დეკემბრისთვის, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში მისი დაარსების დღიდან დაცულ ინფორმაციასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ, რეესტრების სამომავლოდ ურთიერთდაკავშირების მიზნით. კომისიას შეუძლია, სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში მე-2 პუნქტში მითითებულ ინფორმაციასთან ერთად შეიტანოს მონაცემები სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო ნომრების შესახებ.

2. სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში დაცული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
 - (ა) საწარმოს დასახელება და სამართლებრივი ფორმა;
 - (ბ) საწარმოს მისამართი;
 - (გ) ინფორმაცია საქმიანი რეპუტაციისა და პროფესიული კომპეტენტურობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით დანიშნული სატრანსპორტო მენეჯერების ან, საჭიროების შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის შესახებ;
 - (დ) ინფორმაცია ნებართვის ტიპის, საწარმოს სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის და, საჭიროებისამებრ, ევროპული გაერთიანების ლიცენზიისა და დამოწმებული ასლების სერიული ნომრების შესახებ;
 - (ე) მე-6 მუხლის (1)(ბ) პუნქტში მითითებული დარღვევების რაოდენობა, კატეგორია და სიმძიმე, რასაც შედეგად მოყვება პასუხისმგებლობაში მიცემა ან სანქციების დაწესება ბოლო 2 წლის განმავლობაში;
 - (ვ) ინფორმაცია ნებისმიერი პირის შესახებ, რომელიც გამოცხადებულია საწარმოს სატრანსპორტო საქმიანობის მმართველი პოზიციისთვის შეუფერებლად, სანამ არ მოხდება მისი საქმიანი რეპუტაციის აღდგენა, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ასევე ინფორმაცია აღდგენითი ღონისძიებების შესახებ.
 - (ვ) პუნქტის მიზნებისთვის, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, 2015 წლის 31 დეკემბრამდე, სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში აღრიცხონ IV დანართში მითითებული მხოლოდ ყველაზე სერიოზული დარღვევები.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, (ე) და (ვ) პუნქტებში მითითებული მონაცემები შეიტანონ სხვადასხვა რეესტრებში. ამ შემთხვევაში, ასეთი მონაცემები

ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნისამებრ ან ისინი უნდა სარგებლობდნენ პირდაპირი წვდომით აღნიშნულ ინფორმაციაზე. მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს მოთხოვნის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში. პირველი ქვეპუნქტის (ა) - (დ) პუნქტებში მითითებული მონაცემები იქნება საჯარო, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით.

პირველი ქვეპუნქტის (ე) და (ვ) პუნქტებში მითითებული მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ იმ ორგანოებისთვის, გარდა კომპეტენტური ორგანოებისა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ კონტროლისა და საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში სანქციების დაწესების სათანადო უფლებამოსილება და მათ თანამდებობის პირებს დადებული აქვთ კონფიდენციალურობის დაცვის ფიცი ან აკისრიათ შესაბამისი ოფიციალური ვალდებულება,

3. ინფორმაცია იმ საწარმოების შესახებ, რომელთაც შეუჩერდებათ ან გაუუქმდებათ ნებართვა, ინახება სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში ლიცენზიის შეჩერების ვადის გასვლის ან გაუქმების მომენტიდან 2 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოღებული.

ინფორმაცია ნებისმიერი პირის საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობისთვის შეუფერებლად გამოცხადების შესახებ სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში რჩება მისი საქმიანი რეპუტაციის აღდგენამდე, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. აღდგენითი ან მსგავსი ეფექტის მქონე სხვა ღონისძიების მიღების შემდგომ, მონაცემები ექვემდებარება დაუყოვნებლივ ამოღებას.

პირველ და მეორე ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაცია უნდა ითვალისწინებდეს ნებართვის შეჩერების ან გაუქმების ან შეუფერებლად აღიარების მიზეზებს, ასევე შესაბამის ვადებს.

4. წევრი სახელმწიფოები მიმართავენ ყველა საჭირო ზომას სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში დაცული ყველა სახის ინფორმაციის, განსაკუთრებით მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის (ე) და (ვ) ნაწილებში მითითებული მონაცემების განახლებადობის და სისწორის უზრუნველსაყოფად.
5. პირველი და მე-2 პუნქტების შეზღუდვის გარეშე, წევრი სახელმწიფოები მიმართავენ ყოველგვარ აუცილებელ ზომას სახელმწიფო ელექტრონული რეესტრების ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე მე-18 მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო საკონტაქტო პუნქტების მეშვეობით ურთიერთდაკავშირებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრებზე სახელმწიფო საკონტაქტო პუნქტების მეშვეობით წვდომა და მათ გაერთიანება განხორციელდება 2012 წლის 31 დეკემბრისთვის, რათა ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს ჰქონდეს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრთან წვდომის შესაძლებლობა.
6. კომისიის მიერ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 2010 წლის 31 დეკემბრამდე მიღებულ უნდა იქნას მე-5 პუნქტის განხორციელებასთან დაკავშირებული საერთო

წესები, როგორცაა მონაცემთა გაცვლის ფორმატი, სხვა წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრებზე წვდომის ტექნიკური პროცედურები და აღნიშნული რეესტრების სხვა შესაბამის მონაცემთა ბაზებთან ურთიერთკავშირის ხელშეწყობა. აღნიშნული საერთო წესები განსაზღვრავს, თუ რომელი ორგანო აგებს პასუხს რეესტრებთან წვდომაზე, მათ შემდგომ გამოყენებასა და განახლებაზე. აღნიშნული მიზნით, მითითებული წესები უნდა ითვალისწინებდეს მონაცემთა შეტანისა და მონაცემთა კონტროლის წესებს.

7. წინამდებარე რეგლამენტში არაარსებითი შესწორებების შეტანისთვის შემუშავებული და პირველ და მე-5 პუნქტებში განსაზღვრული ვადის გადავადებასთან დაკავშირებული ზომები მიიღება 25-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 17

პერსონალური მონაცემების დაცვა

95/46/EC დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ:

- (ა) ყველა იმ პირის ინფორმირება, რომელთა შესახებ მონაცემებიც ექვემდებარება ჩაწერას ან მესამე მხარეებისთვის გადაცემას. მიწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ცნობებს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს, დასამუშავები მონაცემების ტიპისა და ამგვარი ქმედების მიზეზების შესახებ;
- (ბ) ყოველი პირი წვდომის უფლებით იმ ინფორმაციაზე, რომელიც მას ეხება და რომელიც დაცულია მის დამუშავებაზე პასუხისმგებელ ორგანოში. აღნიშნული უფლება უნდა იყოს შეუზღუდავი და უნდა გამოიყენებოდეს გონივრული ინტერვალებით და განმცხადებლისთვის ყოველგვარი ზედმეტი ვადაგადაცილების ან ხარჯის გარეშე;
- (გ) ყოველი იმ პირის უფლება, მოითხოვოს მისი არასრული ან არაზუსტი მონაცემების გასწორება, წაშლა ან დაბლოკვა;
- (დ) ყოველი პირის უფლება, კანონიერ საფუძველზე შეეწინააღმდეგოს მასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას. დასაბუთებული შედავებისას აღნიშნული მონაცემების დამუშავება შესაძლებელია აღარ განხორციელდეს;
- (ე) საწარმოების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების დაცვის სათანადო დებულებებთან შესაბამისობა.

მუხლი 18

ადმინისტრაციული თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებს შორის

1. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ სხვა წევრ სახელმწიფოებთან ინფორმაციის გაცვლაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო საკონტაქტო პუნქტებს, წინამდებარე

რეგლამენტის სისრულეში მოყვანის მიზნით. წევრი სახელმწიფოები კომისიას 2011 წლის 4 დეკემბრამდე გაუგზავნიან მათი სახელმწიფო საკონტაქტო პუნქტების დასახელებებსა და მისამართებს. კომისია შეადგენს საკონტაქტო პუნქტების ნუსხას და გადაუგზავნის მას წევრ სახელმწიფოებს.

2. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის გაცვლას წინამდებარე რეგლამენტის ფარგლებში, მიმართავენ სახელმწიფო საკონტაქტო პუნქტებს, პირველი პუნქტის შესაბამისად.
3. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის გაცვლას მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დარღვევების ან შეუფერებლად აღიარებული სატრანსპორტო მენეჯერების შესახებ, უნდა აკმაყოფილებდნენ (EC) №1072/2009 რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველ პუნქტში, ან შესაბამისობის შემთხვევაში, (EC) № 1073/2009 რეგლამენტის 23-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პროცედურასა და ვადებს. წევრი სახელმწიფო, რომელიც მიიღებს შეტყობინებას სერიოზული დარღვევის შესახებ, რასაც შედეგად სხვა წევრ სახელმწიფოში პასუხისმგებლობაში მიცემა ან სანქციების დაწესება მოყვება, სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში შეიტანს ინფორმაციას აღნიშნული დარღვევის შესახებ.

თავი V

სერტიფიკატებისა და სხვა დოკუმენტების ორმხრივი აღიარება

მუხლი 19

საქმიანი რეპუტაციის დამადასტურებელი სერტიფიკაცი და ეკვივალენტური დოკუმენტები

1. მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შეზღუდვის გარეშე, წევრი სახელმწიფო, სადაც საწარმო არის დაფუძნებული, საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის დასაშვებად საკმარის დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნევს სასამართლო ოქმიდან ამონაწერის წარდგენას, ან თუ აღნიშნულის წარდგენა შეუძლებელია, იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული ეკვივალენტური დოკუმენტის წარდგენას, რომელიც სატრანსპორტო მენეჯერის ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი პირის მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენს.
2. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს საქმიან რეპუტაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს წაუყენებს და აღნიშნულ პირობებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ვერ მოხერხდება პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტების სახით, აღნიშნული წევრი სახელმწიფო სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების საქმიანი რეპუტაციის დამადასტურებელ საკმარის საბუთად მიიჩნევს იმ წევრი სახელმწიფო(ები)ს კომპეტენტური სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემულ ეკვივალენტურ დოკუმენტს, რომელიც სატრანსპორტო მენეჯერის ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი პირის მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენს, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული პირობები

შესრულდა. მითითებული დოკუმენტი უკავშირდება კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც მხედველობაში მიიღება იმ წევრი სახელმწიფოს მიერ, სადაც დაფუძნებულია საწარმო.

3. იმ შემთხვევაში, თუ პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტი ან მე-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტი არ არის გაცემული იმ წევრი სახელმწიფოს მიერ, რომელიც სატრანსპორტო მენეჯერის ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი პირის მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენს, აღნიშნული დოკუმენტების ჩანაცვლება შესაძლებელია სატრანსპორტო მენეჯერის ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი პირის მიერ კომპეტენტური სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე, ან საჭიროების შემთხვევაში, იმ წევრი სახელმწიფოს ნოტარიუსის წინაშე დადებული ფიცით ან ოფიციალური განცხადებით, რომელიც სატრანსპორტო მენეჯერის ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი პირის მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენს. აღნიშნული ორგანო ან ნოტარიუსი გასცემს განცხადების ან ფიცის დამადასტურებელ ცნობას.
4. პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტი ან მე-2 პუნქტში მითითებული სერტიფიკატი არ მიიღება იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია გაცემის თარიღიდან 3 თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული პირობა ასევე ვრცელდება მე-3 პუნქტის საფუძველზე გაკეთებულ განცხადებაზე.

მუხლი 20

ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი

როდესაც წევრი სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს უყენებს, გარდა მე-7 მუხლში მითითებული მოთხოვნებისა, აღნიშნული წევრი სახელმწიფო სხვა წევრი სახელმწიფო მოქალაქეების საქმიანი რეპუტაციის დამადასტურებელ საკმარის საბუთად მიიჩნევს იმ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემულ ეკვივალენტურ დოკუმენტს, რომელიც სატრანსპორტო მენეჯერის ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი პირის მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენს, სადაც მითითებული იქნება, რომ წარმოდგენილი პირობები სისრულეში იქნა მოყვანილი. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც მხედველობაში მიიღება იმ წევრი სახელმწიფოს მიერ, სადაც დაფუძნებულია საწარმო.

მუხლი 21

პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი

1. წევრი სახელმწიფოები პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელ საბუთად აღიარებენ III დანართით განსაზღვრული სერტიფიკატის მოდელის შესაბამის სერტიფიკატს, რომელსაც გასცემს სათანადოდ უფლებამოსილი ორგანო ან დაწესებულება.

2. 2011 წლის 4 დეკემბრამდე ამ პერიოდისთვის მოქმედი დებულებების საფუძველზე გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი ითვლება III დანართით განსაზღვრული სერტიფიკატის მოდელის შესაბამის სერტიფიკატად და ყოველი წევრი სახელმწიფოს მიერ აღიარებული უნდა იყოს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატად. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამოცდების ან გამოცდების ნაწილის ჩაბარება მოსთხოვონ იმ პირებს, რომელთა სერტიფიკატები მხოლოდ ქვეყნის შიდა გადაზიდვებზე ვრცელდება.

თავი VI

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22

სანქციები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ ის დებულებები, რომლებიც ეხება წინამდებარე რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევაზე სანქციების დაწესებას და მიმართონ ყოველგვარ ზომას მათ სისრულეში მოსაყვანად. სანქციები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და ჰქონდეს აღმკვეთი ხასიათი. წევრმა სახელმწიფოებმა აღნიშნული დებულებების დამტკიცების შესახებ ინფორმაცია 2011 წლის 4 დეკემბრამდე უნდა მიაწოდონ კომისიას, ასევე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ მას აღნიშნულ დებულებებში განხორციელებული ნებისმიერი შესწორების შესახებ. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ასეთი ზომების მოქალაქეობის ან დაფუძნების ადგილის მიხედვით დისკრიმინაციის გარეშე მიღება.
2. პირველ პუნქტში მითითებული სანქციები მოიცავს, კერძოდ, საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის ნებართვის შეჩერებას, გაუქმებასა და სატრანსპორტო მენეჯერის პოზიციისთვის შეუფერებლად აღიარებას.

მუხლი 23

გარდამავალი დებულებანი

საწარმოები, რომლებიც 2009 წლის 4 დეკემბრამდე ფლობდნენ საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის ნებართვას, ვალდებულნი არიან, 2011 წლის 4 დეკემბრამდე წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილონ.

მუხლი 24

ურთიერთდახმარება

წვერი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები მჭიდროდ ითანამშრომლებენ და აღმოუჩენენ ერთმანეთს ორმხრივ დახმარებას, წინამდებარე რეგლამენტის განხორციელების მიზნით. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის გაცვლა ნასამართლეობის და ნებისმიერი სერიოზული დარღვევისთვის სანქციების დაწესების შესახებ, ასევე სხვა შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა, რომელიც იქნება მნიშვნელოვანი საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისას, პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული დებულებების შესაბამისად.

მუხლი 25

კომიტეტის პროცედურა

1. კომისიის დახმარებას უზრუნველყოფს საგზაო ტრანსპორტირების სფეროში საკონტროლო მოწყობილობის შესახებ 1985 წლის 20 დეკემბრის (EEC) №3821/85 რეგლამენტის ¹ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ჩამოყალიბებული კომიტეტი.
2. წინამდებარე პუნქტზე მითითების შემთხვევაში მოქმედებს 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-3 და მე-7 მუხლები, მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.
3. წინამდებარე პუნქტზე მითითების შემთხვევაში მოქმედებს 1999/468/EC გადაწყვეტილების 5ა(1)-(4) მუხლი და მე-7 მუხლი, მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 26

ანგარიშგება

1. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ წვერი სახელმწიფოები შეადგენენ და კომპეტენტურ ორგანოებს გაუგზავნიან ანგარიშს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება:
 - (ა) სექტორის მიმოხილვა საქმიანი რეპუტაციის, ფინანსური მდგომარეობისა და პროფესიული კვალიფიკაციის დადგენასთან დაკავშირებით;
 - (ბ) ინფორმაცია წლის განმავლობაში გაცემული, შეჩერებული და გაუქმებული ნებართვების რაოდენობისა და მათი ტიპების შესახებ, ასევე თანამდებობისთვის შეუფერებლად გამოცხადებული პირების რაოდენობის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების მიზეზების მითითებით;
 - (გ) ინფორმაცია ყოველ წელს გაცემული ნებართვების რაოდენობის შესახებ;

¹ ოფიციალური ჟურნალი L 370, 31.12.1985, გვ. 8.

- (დ) სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრებთან, ასევე მათი კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- (ე) სხვა წევრ სახელმწიფოებთან მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ინფორმაციის გაცვლის მიმოხილვა, მათ შორის წლის განმავლობაში გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მიეწოდა სხვა წევრ სახელმწიფოებს და მიღებული პასუხების რაოდენობა, ასევე მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ყოველწლიურად მიღებული მოთხოვნებისა და პასუხების რაოდენობა.
2. პირველ პუნქტში მითითებული ანგარიშების საფუძველზე, კომისია ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ევროპარლამენტსა და საბჭოს წარუდგენს ანგარიშს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის სფეროს შესახებ. აღნიშნული ანგარიში უნდა ითვალისწინებდეს წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლის შეფასებას, ფუნქციონირების მიმოხილვასა და სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრებში დაცულ მონაცემებს. აღნიშნული ანგარიში და ავტოგადაზიდვებთან დაკავშირებული სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის (EC) №561/2006 რეგლამენტის¹ მე-17 მუხლში მითითებული ანგარიში გამოქვეყნდება ერთდროულად.

მუხლი 27

კომპეტენტური ორგანოების ჩამონათვალი

2011 წლის 4 დეკემბრამდე, ყოველი წევრი სახელმწიფო კომისიას გაუგზავნის მის მიერ დანიშნული კომპეტენტური ორგანოების ნუსხას, რომელთაც მინიჭებული აქვთ საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის ნებართვის გაცემის უფლებამოსილება, ასევე მე-8 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული გამოცდების ჩატარებასა და სერტიფიკატების გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოების ან დაწესებულებების ნუსხას. კომისიის ფარგლებში მოქმედი აღნიშნული ორგანოებისა და დაწესებულებების საერთო ნუსხა ქვეყნდება *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში*.

მუხლი 28

სახელმწიფო ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

წევრმა სახელმწიფოებმა წინამდებარე რეგლამენტის ფარგლებში მათ მიერ მიღებული კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების ტექსტები უნდა წარუდგინონ კომისიას მათი მიღებიდან არაუგვიანეს 30 დღისა და პირველ ჯერზე 2011 წლის 4 დეკემბრამდე.

¹ ოფიციალური ჟურნალი L 102, 11.4.2006, გვ. 1.

მუხლი 29

გაუქმება

წინამდებარე დოკუმენტით უქმდება 96/26/EC დირექტივა.

მუხლი 30

კანონიერ ძალაში შესვლა

წინამდებარე რეგლამენტი კანონიერ ძალაში შედის მისი *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.

წინამდებარე რეგლამენტი მოქმედებს 2011 წლის 4 დეკემბრიდან.

წინამდებარე რეგლამენტი სავალდებულოა მთლიანობაში და მოქმედებს უშუალოდ ყოველი წევრი სახელმწიფოს მიმართ.

▼B

დანართი I

I. მე-8 მუხლით გათვალისწინებული საგნების ჩამონათვალი

ცოდნა, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ პროფესიული კომპეტენტურობის ოფიციალური აღიარებისას, უნდა ითვალისწინებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ საგნებს ტვირთის გადაზიდვებისა და მგზავრების გადაყვანის საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საგნებთან დაკავშირებით, ტვირთი გადამზიდავი და მგზავრების გადამყვანი ოპერატორის საქმიანობის განსახორციელებლად განცხადებლები უნდა ფლობდნენ სატრანსპორტო საწარმოს მართვისთვის საჭირო ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს.

ცოდნის მინიმალური დონე, როგორც ეს ქვემოთაა მითითებული, არ უნდა იყოს საბჭოს 85/368/EEC გადაწყვეტილების¹ დანართში გათვალისწინებული საგანმანათლებლო სისტემის მესამე დონეზე დაბალი, კერძოდ, სავალდებულო განათლების კურსის შედეგად მიღებული ცოდნა, რომელსაც უნდა ამყარებდეს პროფესიული გადამზადება და დამატებითი ტექნიკური მომზადება ან სამუალო სკოლა ან სხვა ტექნიკური სწავლება.

ა. სამოქალაქო სამართალი

განმცხადებელი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის სფეროში:

1. უნდა იცნობდეს საავტომობილო გადაზიდვებში გამოყენებული ხელშეკრულებების ძირითად ტიპებს და აღნიშნულის საფუძველზე წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებს;
2. უნდა შეეძლოს მოლაპარაკებების წარმოება იურიდიული ძალის მქონე სატრანსპორტო ხელშეკრულებებზე, გადაზიდვების პირობებთან დაკავშირებით;

ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში:

3. უნდა შეეძლოს ტრანსპორტირებისას ტვირთის დაზიანების ან ტვირთის დაგვიანებით მიწოდების შედეგად მიყენებული ზიანის ან ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვა და იმ ფაქტის განსაზღვრა, თუ როგორ იმოქმედებს აღნიშნული პრეტენზია მის სახელშეკრულებო ვალდებულებებზე;
4. უნდა იცნობდეს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულებების მარეგულირებელ კონვენციასთან დაკავშირებულ წესებსა და ვალდებულებებს;

მგზავრების გადაყვანის შემთხვევაში:

¹ საბჭოს 1985 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება 85/368/EEC ევროპული გაერთიანების წევრ სახელმწიფოებში პროფესიული მომზადების დონეების შედარებითი ხასიათის შესახებ (ოფიციალური ჟურნალი L 199, 31.7.1985, გვ. 56).

5. უნდა შეეძლოს მგზავრების გადაყვანისას მგზავრების სხეულის დაზიანების ან სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მათი ბარგისთვის მიყენებული ზიანის ან შეფერხებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვა და იმ ფაქტის განსაზღვრა, თუ როგორ იმოქმედებს აღნიშნული პრეტენზია მის სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

ბ. სავაჭრო სამართალი

განმცხადებელი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის სფეროში:

1. უნდა იცნობდეს აღნიშნულ სფეროში მოქმედ პირობებსა და ფორმალობებს, საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორებზე დაკისრებულ ვალდებულებებსა (რეგისტრაცია, საქმის წარმოება და ა.შ.) და გადახდისუნარიობის შედეგებს;
2. უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა კომერციული საწარმოების სხვადასხვა ფორმების, ასევე მათი სტრუქტურისა და ფუნქციონირების წესების შესახებ.

გ. სოციალური სამართალი

განმცხადებელი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის სფეროში:

1. უნდა იცნობდეს საავტომობილო ტრანსპორტთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური დაწესებულებების (პროფკავშირები, შრომითი საბჭოები, პროფკავშირების წარმომადგენლები, შრომის ინსპექტორები და ა.შ.) როლსა და ფუნქციებს;
2. უნდა იცოდეს დამსაქმებლის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები;
3. უნდა იცნობდეს სატრანსპორტო საწარმოების მიერ სხვადასხვა კატეგორიის დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მარეგულირებელ წესებს (ხელშეკრულების ფორმა, მხარეების ვალდებულებები, სამუშაო პირობები და საათები, ანაზღაურებადი შვებულება, შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.);
4. უნდა იცნობდეს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროსთან, დასვენების დროსა და სამუშაო დროსთან დაკავშირებულ წესებს, განსაკუთრებით (EEC) №3821/85 რეგლამენტს, (EC) №561/2006 რეგლამენტს, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/15/EC დირექტივითა¹ და 2006/22/EC დირექტივით გათვალისწინებულ დებულებებს, ასევე აღნიშნული დებულებების გამოყენების პრაქტიკულ ზომებს; და

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 11 მარტის დირექტივა 2002/15/EC საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი პირების სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ (ოფიციალური ჟურნალი L 80, 23.3.2002, გვ. 35).

5. უნდა გლობდეს ინფორმაციას მძღოლების პირველადი მომზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების განმსაზღვრელი წესების, კერძოდ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/59/EC დირექტივიდან ¹ გამომდინარე წესების შესახებ.

დ. საგადასახადო სამართალი

განმცხადებელი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის სფეროში:

1. უნდა იცნობდეს სატრანსპორტო მომსახურებებზე დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) მარეგულირებელ წესებს;
2. უნდა იცნობდეს სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით გადასახდელი საფასურების მარეგულირებელ წესებს;
3. უნდა იცნობდეს კონკრეტული ტიპის ტვირთის გადაზიდვების, ასევე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მომხმარებლების გადასახადებისა და მოსაკრებლების მარეგულირებელ წესებს;
4. უნდა იცოდეს საშემოსავლო გადასახადის მარეგულირებელი წესები.

ე. საწარმოს ბიზნეს და ფინანსური მენეჯმენტი

განმცხადებელი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის სფეროში:

1. უნდა იცნობდეს ჩეკების, თამასუქების, სასესხო ვალდებულებების, საკრედიტო ბარათებისა და ანგარიშსწორების სხვა საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებულ წესებსა და პრაქტიკას;
2. უნდა იცნობდეს კრედიტის სხვადასხვა ტიპებს (საბანკო კრედიტი, დოკუმენტური აკრედიტივი, საგარანტიო დეპოზიტები, იპოთეკა, ლიზინგი, იჯარა, ფაქტორინგი და ა.შ.) და შესაბამის ხარჯებსა და ვალდებულებებს;
3. უნდა იცოდეს ბალანსი, მისი შედგენა და ინტერპრეტირება;
4. უნდა შეეძლოს მოგება-ზარალის უწყისის გაგება და ინტერპრეტირება;
5. უნდა შეეძლოს საწარმოს რენტაბელურობისა და ფინანსური მდგომარეობის შეფასება, განსაკუთრებით ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე;
6. უნდა შეეძლოს ბიუჯეტის შედგენა;

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 15 ივლისის დირექტივა 2003/59/EC ტვირთის გადაზიდვის ან მგზავრთა გადაყვანის მიზნით გარკვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების საბაზო კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების შესახებ (ოფიციალური ჟურნალი L 226, 10.9.2003, გვ. 4).

7. უნდა იცნობდეს საწარმოს ხარჯების სახეებს (ფიქსირებული ხარჯები, ცვალებადი ხარჯები, საბრუნავი კაპიტალი, ამორტიზაცია და ა.შ.) და უნდა შეეძლოს ხარჯების გაანგარიშება ყოველ სატრანსპორტო საშუალებაზე, ყოველ კილომეტრზე, ყოველ გადაზიდვაზე ან ყოველ ტონაზე;
8. უნდა შეეძლოს საწარმოს საშტატო განრიგის შედგენა და სამუშაო გეგმების ორგანიზება და ა.შ.;
9. უნდა იცნობდეს მარკეტინგის, რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებს, მათი შორის სატრანსპორტო სერვისებს, გაყიდვების პრომოციასა და კლიენტთა საქმეების წარმოებას და ა.შ.;
10. უნდა იცნობდეს საავტომობილო ტრანსპორტთან დაკავშირებული დაზღვევის სხვადასხვა ტიპებს (ვალდებულების დაზღვევა, უბედური შემთხვევის დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა და ბარგის დაზღვევა) და შესაბამის გარანტიებსა და ვალდებულებებს;
11. უნდა იცნობდეს სატრანსპორტო საშუალებებზე მონაცემთა ელექტრონული გადაცემის აპლიკაციებს;

ტვირთის გადაზიდვის სფეროში:

12. უნდა შეეძლოს საავტომობილო გადაზიდვებთან დაკავშირებული ანგარიშფაქტურების გამოწერა და Incoterms პირობების გააზრება;
13. უნდა იცნობდეს დამხმარე სატრანსპორტო აღჭურვილობის სხვადასხვა კატეგორიებს, მათ დანიშნულებას, ფუნქციებსა და, საჭიროების შემთხვევაში, მათ მდგომარეობას;

მგზავრთა გადაყვანის სფეროში:

14. უნდა შეეძლოს საზოგადოებრივი და კერძო სამგზავრო ტრანსპორტის ტარიფებისა და ფასების განმსაზღვრელი მარეგულირებელი წესების გამოყენება;
15. უნდა შეეძლოს მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებული ანგარიშფაქტურის გამოწერის მარეგულირებელი წესების გამოყენება.

ვ. ბაზარზე დაშვება

განმცხადებელი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის სფეროში:

1. უნდა იცოდეს კომერციული საავტომობილო გადაზიდვების, სატრანსპორტო საშუალებების იჯარის და ქვეხელშეკრულების, კერძოდ, საქმიანობის ორგანიზების, ბაზარზე დაშვების, ევროპული გაერთიანების ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ სატრანსპორტო საქმიანობის განხორციელების ნებართვების გაცემის, ინსპექტირებისა და სანქციების დაწესების მარეგულირებელი ნორმები;
2. უნდა იცოდეს სატრანსპორტო საწარმოს დაფუძნების მარეგულირებელი ნორმები;

3. უნდა იცნობდეს სატრანსპორტო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტებს და უნდა უზრუნველყოს თითოეულ სატრანსპორტო ოპერაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების კონტროლის პროცედურის დანერგვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სატრანსპორტო საშუალებასთან, მძღოლთან, ტვირთებთან და ბარგთან დაკავშირებული დოკუმენტები ინახებოდეს სატრანსპორტო საშუალებაში ან საწარმოში;

ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით:

4. უნდა შეეძლოს საავტომობილო გადაზიდვების მარეგულირებელი ბაზრის ორგანიზება, ასევე ტვირთის დამუშავებასთან და ლოგისტიკასთან დაკავშირებული წესები;
5. უნდა იცნობდეს საბაჟო წესებსა და პროცედურებს, T დოკუმენტებსა და TIR წიგნაკებს, და მათი გამოყენებიდან გამომდინარე ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს;

მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებით:

6. უნდა იცოდეს მგზავრების გადაყვანის ბაზრის ორგანიზების მარეგულირებელი ნორმები;
7. უნდა იცოდეს მგზავრების გადაყვანების სერვისის მიწოდების მარეგულირებელი ნორმები და უნდა შეეძლოს სატრანსპორტო გეგმების შედგენა.

ზ. საქმიანობის ტექნიკური სტანდარტები და ტექნიკური ასპექტები

განმცხადებელი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის სფეროში:

1. უნდა იცნობდეს სატრანსპორტო საშუალებების წონისა და გაბარიტების მარეგულირებელ წესებს წევრ სახელმწიფოებში, გამონაკლისის სახით დაშვებულ პროცედურებს, როდესაც სატრანსპორტო საშუალება აღემატება ნებადართულ წონას;
2. უნდა შეეძლოს სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი დეტალების არჩევა (შასი, ძრავი, გადაცემათა სისტემა, სამუხრუჭო სისტემა და ა.შ.), საწარმოს საჭიროებებიდან გამომდინარე;
3. უნდა იცნობდეს სატრანსპორტო საშუალების ტიპის დადგენის, მათი რეგისტრაციისა და ტექნიკური დათვალიერების მარეგულირებელ წესებს;
4. უნდა შეეძლოს ხმაურისა და გამონაბოლქვის შედეგად ჰაერის დაბინძურების შემცირებასთან დაკავშირებული ზომების მიღება;
5. უნდა შეეძლოს სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი აღჭურვილობის პერიოდული ტექნიკური მომსახურების გეგმების შედგენა;

ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით:

6. უნდა იცნობდეს ტვირთების დამუშავების და დატვირთვა-გადმოტვირთვის მოწყობილობების ტიპებს (ასაწევი ბორტი, კონტეინერები, ქვესადგამები და ა.შ.) და უნდა უზრუნველყოს დასატვირთი და გადმოსატვირთი სამუშაოების პროცედურებისა და ინსტრუქციების დანერგვა (დატვირთვის განაწილება, ჩალაგება, ბლოკირება, დაფიქსირება და ა.შ.);
7. უნდა იცნობდეს მისაბმელიანი და ტრალიერული კომბინირებული გადაზიდვების სხვადასხვა მეთოდებს;
8. უნდა შეეძლოს შესაბამისი პროცედურების განხორციელება სახიფათო ტვირთებისა და ნარჩენების გადაზიდვებთან დაკავშირებულ წესებთან, განსაკუთრებით 2008/68/EC დირექტივით¹ და (EC) 1013/2006 რეგლამენტით² განსაზღვრულ წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
9. უნდა შეეძლოს შესაბამისი პროცედურების განხორციელება, მალფუჭებადი საკვები პროდუქტების გადაზიდვებთან დაკავშირებულ წესებთან, განსაკუთრებით მალფუჭებადი საკვები პროდუქტებისა და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულებით (ATP) განსაზღვრულ წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
10. უნდა შეეძლოს შესაბამისი პროცედურების განხორციელება, ცხოველების გადაყვანასთან დაკავშირებულ წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

თ. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება

განმცხადებელი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის სფეროში:

1. უნდა იცოდეს მძღოლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მართვის მოწმობა, სამედიცინო ცნობები, შრომისუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ა.შ.);
2. უნდა შეეძლოს მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების, წევრ სახელმწიფოებში მოქმედი აკრძალვებისა და შეზღუდვების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომების მიღება, (სიჩქარის შეზღუდვა, პრიორიტეტები, გაჩერებისა და პარკირების წესები, შუქურების გამოყენება, საგზაო ნიშნები და ა.შ.);
3. უნდა შეეძლოს მძღოლებისთვის ინსტრუქციის მიცემა უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობასთან, მათ აღჭურვილობასა და ტვირთთან, ასევე პროფილაქტიკური ზომების მიღებასთან დაკავშირებით;

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 24 სექტემბრის დირექტივა 2008/68/EC სახიფათო ტვირთების შიდა გადაზიდვების შესახებ (ოფიციალური ჟურნალი L 260, 30.9.2008, გვ. 13).

² ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 14 ივნისის რეგლამენტი EC №1013/2006 ნარჩენების გადაზიდვის შესახებ (ოფიციალური ჟურნალი L 260, 30.9.2008, გვ. 13).

4. უნდა შეეძლოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას ყველა საჭირო პროცედურის შესრულება და უბედური შემთხვევების ან საგზაო მოძრაობის წესების სერიოზული დარღვევის თავიდან ასაცილებლად ყოველგვარი აუცილებელი ზომის მიღება;
5. უნდა შეეძლოს ტვირთების სათანადოდ დაცვისთვის აუცილებელი პროცედურების განხორციელება და უნდა იცნობდეს შესაბამის მეთოდებს;

მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებით:

6. უნდა ფლობდეს წევრი სახელმწიფოების საგზაო ქსელის ელემენტარულ დონეზე ცოდნას.

II. გამოცდების ორგანიზება

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ სავალდებულო წერილობითი გამოცდა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ზეპირი გამოცდაც დაემატოს, იმის დასადგენად, ფლობენ თუ არა საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელების მსურველი განმცხადებლები I ნაწილში განსაზღვრული ცოდნის დონეს, შეუძლიათ თუ არა ცოდნის პრაქტიკული გამოყენება და შესაბამისი აღმასრულებელი და საკოორდინაციო ვალდებულებების სისრულეში მოყვანა.

(ა) სავალდებულო წერილი გამოცდა მოიცავს ორ ტესტს, კერძოდ:

(i) წერილობითი კითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით (პასუხების ოთხი ვარიანტით), კითხვები, რომელიც პირდაპირ პასუხს მოითხოვს ან ორივე ვარიანტის კომბინაცია;

(ii) წერილობითი სავარჯიშოები ან პრაქტიკული დავალებები.

ყოველი ტესტის მინიმალური ხანგრძლივობაა ორი საათი.

(ბ) ზეპირი გამოცდის დამატების შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მონაწილეობის პირობად წერილობითი გამოცდის წარმატებით ჩაბარება განსაზღვრონ.

2. ზეპირი გამოცდის ჩატარებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ ამ სამი ნაწილიდან თითოეულთან დაკავშირებით ნიშნები განისაზღვრება მთლიანი გამოცდის საერთო შეფასების 20%-40%-ის ოდენობით.

წერილობითი გამოცდის ჩატარებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ ამ სამი ნაწილიდან თითოეულთან დაკავშირებით ნიშნები განისაზღვრება მთლიანი გამოცდის საერთო შეფასების 40%-60%-ის ოდენობით.

3. გამოცდის ყველა ნაწილთან დაკავშირებით, განცხადებლებმა უნდა მოაგროვონ საერთო შეფასების მინიმუმ 60% საშუალოდ, ამასთან გამოცდის თითოეულ ნაწილში უნდა მოაგროვონ საერთო შეფასების არანაკლებ 50%. წევრ სახელმწიფოს შეუძლია შეამციროს აღნიშნული მინიმუმი 50%-დან 40%-მდე.

▼**B**

დანართი II

პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის დამცავი ნიშნები

პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატს შემდეგი დამცავი ნიშნებიდან ორი მაინც უნდა ჰქონდეს:

- ჰოლოგრამა;
- ქაღალდში სპციალური ბოჭკოების გამოყენება, რომლებიც ულტრაიისფერ შუქზე ჩანს;
- მიკროტექსტის მინიმუმ ერთი ხაზის გამოყენება (ნაბეჭდი, რომელიც მხოლოდ გადადიდებულ შუშაში ჩანს და რომლის ფოტოასლის გადაღება შეუძლებელია);
- ტაქტილური ნიშნები, სიმბოლოები ან მოხატულობა;
- ორმაგი ნუმერაცია: სერიული და გაცემის ნომერი;
- ფონის დამცავი ფენის დამზადება წნული მოხატულობისა და ცისარტყელას ბეჭდვის გამოყენებით.

▼B

დანართი III

**პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნიმუში
ევროპული გაერთიანება**

▼M1

(ფერი - პანტონი ღია ყვითელი 467 (ან ამ ფერთან ყველაზე მიახლოებული) DIN A4 ფორმატი, ცელულოზის ქაღალდი 100 გრ/მ² ან მეტი)

▼B

(ტექსტი სერტიფიკატის გამცემი წევრი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე(ენებზე) ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე)

შესაბამისი წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს ან დაწესებულების განმასხვავებელი ნიშანი ¹. დასახელება ²

საგზაო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვის/სამგზავრო გადაყვანის პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი ³

№

ჩვენ:

სერტიფიკატი მიეცა ⁴

დაბადების თარიღი:

დაბადების ადგილი:

წარმატებით გაიარა აუცილებელი საგამოცდო ტესტირება (წელი - _____, სესია - _____)⁵
საგზაო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვისა და სამგზავრო გადაყვანის სფეროში პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის მისაღებად⁶, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) №1071/2009 რეგლამენტის საერთო წესებისა და პირობების შესაბამისად, რომლებიც დაცული უნდა იყოს ავტოსატრანსპორტო საქმიანობისას გადამზიდველის/გადამყვანის (ოპერატორის) მიერ.

წინამდებარე სერტიფიკატი წარმოადგენს (EC) №1071/2009 რეგლამენტის 21-ე მუხლში მითითებული პროფესიული კომპეტენტურობის საკმარის მტკიცებულებას.

გაცემის ადგილი: _____ გაცემის თარიღი: _____⁷

▼B

¹ წევრი სახელმწიფოების განმასხვავებელი ნიშნები: (B) ბელგია, (BG) ბულგარეთი, (CZ) ჩეხეთის რესპუბლიკა, (DK) დანია, (D) გერმანია, (EST) ესტონეთი, (IRL) ირლანდია, (GR) საბერძნეთი, (E) ესპანეთი, (F) საფრანგეთი, (I) იტალია, (CY) კვიპროსი, (LV) ლატვია, (LT) ლიტვა, (L) ლუქსემბურგი, (H) უნგრეთი, (M) მალტა, (NL) ნიდერლანდები, (A) ავსტრია, (PL) პოლონეთი, (P) პორტუგალია, (RO) რუმინეთი, (SLO) სლოვენია, (SK) სლოვაკეთი, (FIN) ფინეთი, (S) შვედეთი, (UK) დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო.

² ევროპული გაერთიანების მიერ სერტიფიკატის გამცემის მიხნით უფლებამოსილი ორგანო ან დაწესებულება.

³ არასაჭირო გადაიხაზოს.

⁴ სახელი და გვარი; დაბადების ადგილი და თარიღი.

⁵ გამოცდის საიდენტიფიკაციო ნომერი.

⁶ ოფიციალური ჟურნალი L 300, 14.11.2009, გვ. 51.

⁷ სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი ორგანოს ან დაწესებულების ბეჭედი და ხელმოწერა

დანართი IV

განსაკუთრებით სერიოზული დარღვევები მე-6 მუხლის (2)(ა) პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის

1. (ა) მძღოლის მაქსიმალური სამუშაო დროის გადაჭარბება 25%-ით ან მეტით, ექვსდღიანი სამუშაო კვირის ან ორკვირიანი სამუშაო გრაფიკის შემთხვევაში.
(ბ) მძღოლის მაქსიმალური ყოველდღიური სამუშაო დროის გადაჭარბება 50%-ით ან მეტით შესვენების ან მინიმუმ 4,5 საათიანი უწყვეტი დასვენების გარეშე.
2. ტაქოგრაფის და/ან სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობის არქონა ან ყალბი მოწყობილობების გამოყენება, რომელსაც შეუძლია შეცვალოს საკონტროლო მოწყობილობის და/ან სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობის მონაცემები ან გააყალბოს სარეგისტრაციო ფურცლები და ტაქოგრაფიდან ან/და მძღოლის ბარათიდან ჩამოტვირთული მონაცემები.
3. სატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის დამადასტურებელი სერტიფიკატის გარეშე მართვა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დოკუმენტი მოითხოვება ევროპული გაერთიანების კანონმდებლობით და/ან ისეთი სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც სერიოზულად ექნება დაზიანებული სამუხრუჭო სისტემა, საჭით მართვის მექანიზმი, თვლები/საბურავები, დაკიდება ან შასი, რასაც შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას საგზაო მოძრაობას და გამოიწვიოს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობის აკრძალვა.
4. აკრძალული სახიფათო ტვირთების გადატანა ან ასეთი ტვირთების აკრძალული ან არააპრობირებული საშუალებით გადატანა ან შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნების გამოუყენებლობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანების სიცოცხლეს ან გარემოს და გამოიწვიოს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობის აკრძალვა.
5. მგზავრების გადაყვანა ან ტვირთების გადაზიდვა მოქმედი მართვის მოწმობის არმქონე მძღოლის მიერ ან ევროპული გაერთიანების მოქმედი ლიცენზიის არმქონე საწარმოს მიერ.
6. სატრანსპორტო საშუალების მართვა ყალბი მძღოლის ბარათით ან სხვისი ბარათით ან ყალბი მონაცემების და/ან დოკუმენტების მეშვეობით მიღებული ბარათით.
7. იმ ტვირთების გადაზიდვა, რომელიც აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ დატვირთულ მასას 20%-ით ან მეტით იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა ნებადართული დატვირთული მასა აღემატება 12 ტონას და 25%-ით ან მეტით - იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა ნებადართული დატვირთული მასა არ აღემატება 12 ტონას.